


# კოლორექტალური კიბო



განმრთელობის კვლევის კავშირი



ალმოაჩინე  
დროულად

მსოფლიოში  
**მსხვილი ნაწლავის კიბო**  
სიხშირით მესამე  
ადგილზეა, ხოლო კიბოსთან  
ასოცირებული სიკვდილობის  
მიზეზებს შორის მეორე  
ადგილს იკავებს.



2018 წელს მსხვილი ნაწლავის კიბოს  
**1,8 მილიონი** ახალი შემთხვევა  
დაფიქსირდა, ხოლო ლეტალური  
შემთხვევების რიცხვმა **862 000**  
შეადგინა.



დაავადებათა კონტროლისა და  
აგურგალუკობის ეროვნული ცენტრი




განხორციელების კვლევის კავშირი



# რა არის კოლორექტალური კიბო?

- მსხვილი ნაწლავი
  - დაახლოებით 1.52 მეტრიანი კუნთოვანი მილი
  - მომწვლელი სისტემის ნაწილი
  - საკვებიდან იწოვს წყალს და მარილებს
  - წარმოქმნის ნარჩენ მასას
- 
- სწორი ნაწლავი არის საჭმლის მომწვლელი სისტემის ბოლო 15 სანტიმეტრი





# რა არის კოლორექტალური კიბო?

- კიბო არის უჯრედების ანომალური ზრდა
- კიბოს უჯრედებს აქვთ უნარი შეაღწიონ ნორმალურ ქსოვილში და მისი დაზიანება გამოიწვიონ
- კოლორექტალური კიბო იწყება მსხვილი ან სწორი ნაწლავიდან
- კოლორექტალური კიბოსთვის ხშირად გამოიყენება შესაბამისი აბრევიატურა-**CRC**



# კოლორექტალური კიბოს გამომწვევი მიზეზები



- კოლორექტალური კიბოს მრავალი ფორმის გამომწვევი მიზეზი ამჟამად უცნობია
- ერთ-ერთი სავარაუდო მიზეზია ჩვენი უჯრედების გენეტიკურ მასალაში (დნმ) ცვლილებების დაწყება
- მრავალი ასეთი ცვლილება დნმ-ში ჩვენს ცხოვრების წესთანაა დაკავშირებული





# კოლორექტალური კიბოს რისკ ფაქტორები

## ➤ ასაკი

კოლორექტალური კიბოს შემთხვევები ხშირია 50 წელზე მეტი ასაკის მქონე ინდივიდებში

## ➤ კვება

დიდი რაოდენობით წითელი ხორცი (საქონლის, ღორის, ცხვრის),  
ძეხვეული





# კოლორექტალური კიბოს რისკ ფაქტორები

➤ ფიზიკური აქტივობა  
ნაკლები აქტივობა → ზრდის რისკს



➤ ჭარბწონიანობა  
სიმსუქნე → ზრდის რისკს



➤ თამბაქო  
მოწევა → ზრდის რისკს

➤ ალკოჰოლი  
მოხმარება → ზრდის რისკს



➤ დიაბეტი  
II ტიპის დიაბეტი → ზრდის რისკს



# კოლორექტალური კიბოს მთავარი რისკ-ფაქტორები



- ინდივიდები კუჭ-ნაწლავის ანთებითი დაავადებებით, მაგალითად:
  - წყლულოვანი კოლიტი
  - კრონის დაავადება
  
- ინდივიდები, რომლებსაც ჩატარებული აქვთ რადიაციული თერაპია მენჯის ღრუს მიდამოში კიბოს სამკურნალოდ

გაღიზიანებული ნაწლავის სინდრომი არ არის კოლორექტალური კიბოს  
განვითარების რისკ ფაქტორი





# კოლორექტალური კიბოს მთავარი რისკ-ფაქტორები



- ინდივიდები ადენომატოზური პოლიპებით
- ინდივიდები, რომლებსაც ჰყავთ ადენომატოზური პოლიპების მქონე, თანდაყოლილი ოჯახური ადენომატოზური პოლიპოზით ან კოლორექტალური კიბოთი დაავადებული ოჯახის წევრები.
- ინდივიდები, რომლებსაც წარსულში ჰქონდათ კოლორექტალური კიბო (რისკი განსაკუთრებით მაღალია თუ დაავადება ადრეულ ასაკში განვითარდა)



# რისკ-ფაქტორები - პოლიპები


პოლიპი არის ქსოვილის ზრდა ორგანოს ამომფენ ნაწილში

არსებობს კოლორექტალური პოლიპის 2 ძირითადი ტიპი:

➤ ჰიპერპლაზური ალბათობა მცირეა, რომ იგი კიბოში გადაიზარდოს

➤ ადენომატოზური

კოლორექტალური კიბოს შემთხვევების ძირითადი ნაწილი სწორედ ადენომატოზური პოლიპების სახით იწყება („ადენომა“)




# პოლიპები



კოლორექტალური კიბო შესაძლოა პოლიპისგან განვითარდეს



ნორმალური  
მსხვილი ნაწლავი



ადენომა



კარცინომა

# კოლორექტალური კიბოს პრევენცია



- კოლორექტალური კიბოს მრავალი შემთხვევის პრევენცია შესაძლებელია რეგულარული სკრინინგით

*სკრინინგში იგულისხმება ტესტირება, რომლითაც აღმოჩნდება დაავადება სიმპტომების გარეშე მყოფ ინდივიდებში*

## რატომ არის სკრინინგი აუცილებელი?

- პოლიპების დროული აღმოჩენა და მოშორება მათი კიბოში გადაზრდამდე
- კოლორექტალური კიბოს დროული აღმოჩენა-როდესაც მისი ზომა ჯერ კიდევ მცირეა და არ არის გავრცელებული, მკურნალობა მეტად ეფექტურია





# როგორ ტარდება კოლორექტალური კიბოს სკრინინგი

არსებობს კოლორექტალური კიბოს სკრინინგის 2 ტიპი:

1.

ვიზუალური გამოკვლევა: ტესტირება როგორც პოლიპების, ასევე კოლორექტალური კიბოს აღმოსაჩენად

2.

განავლის გამოკვლევა: ტესტირება, რომელიც ძირითადად კიბოს აღმოსაჩენად გამოიყენება



# ვიზუალური გამოკვლევა

ტესტი აღმოაჩენს როგორც პოლიპებს, ასევე კიბოს



- რექტორომანოსკოპია
- კოლონოსკოპია
- ტესტირებები ტარდება მსხვილი ნაწლავის გამოკვლევით, ანომალური არეების აღმოსაჩენად
- ტესტირებისთვის გამოიყენება განათებული მილი, რომლის შეყვანაც სწორი ნაწლავიდანაა შესაძლებელი
- თუ გამოკვლევასას აღმოჩნდა პოლიპები, შესაძლებელია მათი მოშორება კიბოში გადაზრდამდე, შესაბამისად, მოცემული ტესტები კოლორექტალური კიბოს პრევენციისთვის შეიძლება გამოვიყენოთ





# კოლონოსკოპია

- გამოკვლევისას თხელი, განათებული მილი ანალურ ხვრელში შეჰყავთ და სწორი ნაწლავის გავლით ათავსებენ მსხვილ ნაწლავში, სადაც ანომალიური არეების მოძებნაა შესაძლებელი
- ქსოვილის აღება და პოლიპების მოშორება ნებისმიერი ასეთი არედასაა შესაძლებელი



# კოლონოსკოპია



თუ კოლონოსკოპიური გამოკვლევისას აღმოჩნდა პოლიპები, მათი მოშორება ვიწრო ფიბროსკოპითაა შესაძლებელი






# კომპიუტერულ-ტომოგრაფიული კოლონოგრაფია



- ხდება ჰაერის ჩატუმბვა მსხვილ ნაწლავში დრეკადი მილის გამოყენებით
- ამის შემდეგ კეთდება კომპიუტერულ-ტომოგრაფიული სკანირება
- სპეციალური კომპიუტერული პროგრამებით იქმნება მსხვილი და სწორი ნაწლავების შიდა ნაწილების როგორც 2-განზომილებიანი რენტგენული , ასევე 3-განზომილებიანი სურათები, ეს ყველაფერი ექიმს საშუალებას აძლევს მოძებნოს პოლიპები ან კიბო




# განავალზე დაფუძნებული ტესტები



ძირითადად აღმოაჩენს კიბოს

- ✓ ფეკალური იმუნოქიმიური ტესტი (FIT)
- ✓ ტესტი ფარულ სისხლდენაზე (gFOBT)
- ✓ განავლის დნმ-ის ტესტი (sDNA)
- ზემოაღნიშნული ტესტებით შესაძლებელია განავალში ფარული სისხლდენისა და სხვა ისეთი ცვლილებების აღმოჩენა, რომლებიც კიბოსთვის შეიძლება იყოს დამახასიათებელი
- მსგავსი გამოკვლევები ნაკლებად ინვაზიური და შედარებით მარტივია
- ვიზუალურ გამოკვლევებთან შედარებით მოცემული ტესტებით ნაკლებად ხდება პოლიპების აღმოჩენა
- თუ ტესტის პასუხით გამოვლინდა ფარული სისხლდენა, საჭიროა დამატებით კოლონოსკოპიის ჩატარება






# მსხვილი ნაწლავის კიბოს პრევენცია



# მსხვილი ნაწლავის კიბოს პრევენცია



- ჯანსაღი წონის შენარჩუნება
- აქტიური ცხოვრების წესი
- ✓ კვირაში მინიმუმ 150 წუთიანი ზომიერი ან 75 წუთიანი ენერგიული ფიზიკური აქტივობა
- მჯდომარე ცხოვრების წესის შეზღუდვა



# მსხვილი ნაწლავის კიბოს პრევენცია



- სწორი კვება
  - ✓ აარჩიეთ ისეთი საკვები და სასმელი, რომელიც დაგეხმარებათ მიაღწიოთ და შეინარჩუნოთ ჯანსაღი წონა
  - ✓ მიირთვით მინიმუმ 2<sup>1/2</sup> ჭიქა ხილი და ბოსტნეული ყოველ დღე
  - ✓ უპირატესობა მიანიჭეთ მარცვლეულს
  - ✓ შეამცირეთ წითელი ხორცისა და გატარებული ხორცის მოხმარება
- ალკოჰოლის მოხმარების შეზღუდვა
  - ✓ საჭიროა დღეში მამაკაცებისთვის ალკოჰოლი 2 ან 2-ზე ნაკლებ ჭიქამდე შემცირდეს, ხოლო ქალებისთვის 1 ან 1-ზე ნაკლებამდე



# მსხვილი ნაწლავის კიბოს პრევენცია



- სკრინინგის ტესტები საუკეთესო საშუალებაა კოლორექტალური კიბოს პრევენციისა ან მისი დროულად აღმოჩენისთვის
- კიბოს დროული აღმოჩენით იზრდება მკურნალობის წარმატებულად დასრულების შანსი
- სიმპტომები არ არის დამახასიათებელი კოლორექტალური კიბოს ადრეული ეტაპისთვის, პაციენტი არ უნდა დაელოდოს სიმპტომების დაწყებას
- მკურნალობა განსაკუთრებით ეფექტურია კოლორექტალური კიბოს დროული აღმოჩენის შემთხვევაში

